

1914

პატრონი


ეროვნული
გაზეთი

№ 2

თბილისი. ქუჩა

უ. ყიფიანის 45 წლის
მოღვაწეობის გამო

1914



1287

19146

კ. ქ. - 07

თბილისი ლიჭავაძის

არ ხარ მწერალი დიდებული, არცა მოსანი,
 არც მეომარი, არცა მეფე გვირგვინოსანი;
 შენ—მუშაკი ხარ ხელოვნების, პატროსანი
 და ამიტომაც გიძღვნის კონას

მათრახოსანი.

ჩაგურისა და აჭაბუგოსის

კ. ყიფიანის იუბილეს გამო

ჩვენ არა ვესურს კ. ყიფიანის ბიოგრაფია დაწვრილებით გვაეცნოთ მკითხველებს და არც არის საჭირო, ხოლო ვიტყვით იმას, რომ კონსტანტინე ყიფიანი არის სახელოვან დიმიტრი ყიფიანის შვილი და ამ შვილმა კი იძიით ისახელა თავი, რომ მან 45 წელი ერთგულად ემსახურა ქართულ სცენას და მით მოიპოვა საზოგადოებაში თანაგრძნობ-პატივისცემა. მისი უნაკლები თამაში ატკბობს მაყურებელს და ბევრჯერ ქრუანტელსა გვრის ტანში. ის რომელ როლშია უნდა გამოვიდეს, ყოველთვის განსხვავდება სხვა მოთამაშეებისაგან და თავისი საუცხოო მიმიკით ყურადღებას იპყრობს.

ჩვენ ხშირად გვიყურებია კ. ყიფიანის თამაშზე და არასოდეს ვგახსოვს, მას როლი არ სცოდნოდეს (სხვებსავე) და ცუდად ჩაეტარებინოს თავისი გამოცემა.

45 წლის მისამ ასეთმა თამაშმა შეიყვარა ხალხს ქართული სცენა და სიამართლიანად აფასებს თავისს აღმზრდელს

ჩვენი რედაქციაც უერთდება ამ დღესასწაულს და მიუძღვნის იუბილას ადრესად თავისი ჟურნალის პირველ ფურცელს მცირე ლექსით:

ხან „ოტია“ ხარ—ქაბუკი,
 ამაყი, დაუნდობელი;
 ხან „ლევანი“ ხარ—მოხუცი,
 ხალხისთვის თავის მღობელი.
 ხან კი—უბრალო „ბიკი“ ხარ,
 ხან „გმირი“, ქვეყნის მყარობელი...
 იცოცხლე მრავალ-ქაიფიერ,
 იკურთხოს შენი მშობელი.

მალაროს მუშა.

ლუქმის გულისთვის,
 რომ შიმშილით არ მომკვდარიყო,
 საწყალომ მუშამ
 თავი სტუტო ბნელ მალაროში;
 დღიურს იღებდა...
 და რომ იგი არ გამკვდარიყო
 გაუტყუებოთ
 შევ ქვას ყრიდა რაღაც ხაროში!..

ბელშაეს ეგონა
 ამით გროშებს შეაგროვებდა
 და თავის ცოლ-შვილს
 უპატრონოთ არ დატოვებდა...
 მაგრამ დახე მარცხს!!
 მალაროს ცა ჩამოიფუშა
 და ულომობელად
 „იკაჩიანად“ გასრისა მუშა.

მოკვდა საწყალი...
 არ შესრულდა მისი მიზანი,
 სულ უპატრონოთ
 დასტოვა მან თავის ხიზანე
 მწარე სიციხეზე
 ღარბ ხალხსა რად ემტერები!
 ცხოვრებისათვის
 რად გურავე როგორც მწერები?!
 ლუქმის გულისთვის
 მიწას ჩუგნის ვითა ღორები
 და მათის შრომით
 სუქლებიან მუქთახორები!..

იონა თლუღელი.

სიზმარ-ცხადი

გათავდა წამი უკანასკნელი,
 ძველი წელისა გამოსაღმების,
 მოკვდა ბოროტი პრობი ბეგერი,
 იგი მოწამე ჩვენი წამების.

გულსა ეოხა, ის აღარ არის
 ვის კალთსა მთელ წელს თავი ვაფარე,
 ვინც წელში მოხრილს მეტად მტანჯავდა
 ასჯერ მანატრა ცივი სანარე!

აღმოსავლეთით ვარსკვლავი გაჩნდა,
 ფირუზ გუმბათზე ცელქთ კრთებოდა
 და ახალი წლის სამშობიარო
 ბუნება დინჯათ ემზადებოდა.

დაოხებული გადაშლარათული
 მე ქვეშაგებში თვალებს ენაბნადი
 და მომავლის ათასგვარ იმედს
 გულში ოცნებით გამოვსახადი.

ახალ სტუმრისთვის მეც მზათა გახლდი,
 სტოლზედ მელაგა ღვინო, პურები,
 კბილებ დაკრეპილ მაშკა ღორის თავს
 ჩამოფლარტული ქონდა ყურები.

აიბნა აზრი, ჩაფერფლდა გრძნობა,
 თვალებს ქუთუთო გადმოვფარა;
 გულზედ დამეწყო ჯვარედინ ხელი
 და ასე ძილი წამომეგარა.

ჰა უთვალავი ფერად-ფერადი
 სიზმრები გარსა შემომეხვია,
 ავიღე ხელში წელისა დათვარი
 ერთ აჩრდილს წინდამ გაუძეხვია.

მიველ ოზურგეთს სარევიზიოთ,
 დაუკაქუნე ზაკუსოვს კარზე:
 „გისპოდ ბუმბერაზ ატვირი დვერი,
 რევიზორი ვარ, ვერა მცნობ ხმაზე“.

რის რევიზორი, რის ზაკუსოვი,
 ვილაცა მკითხავს შეინდიან წყევნით;
 ბიქოს რა მესმის, ლამის ვაგვიფედ,
 პასუხს ვღებულვინ გურული ენით!

ვიფიქრე მცლიან: „ღიბა რევიზორ,
 ხანუ ზნატ თქვენი ნაპოქმედარი,

სკოლაო ქანქარი, შტრაფი, ქრთამები
კუშით ქენი, ვნახით დავთარი.

კოაპერატივის სამკითხველ-შკოლებს
რეთს მიაყენეთ წყრულს ზინი,
რა უყავთ თქვენი გურულ არბი,
გზებში რომ გყავდათ ჯობებიანი?

ზღაროვ ლი თქვენი სლუგლაქები,
გურიის ბაკა-ნამიროლები,
ტელ-ხრანიტლები სერგო ნესტორი
ეს კაკუნები და მათი ძმები?

როლის აპრობთ, გურიის ხალხი
ერთად ჩაყაროთ, მხარაშოთ ქვებში,
როგორ ყვიოტ ვაში ნინუკი,
კაკ დელა ვაში ჰარამხანაში?*

— ჩვენ ზაკუსოვი? არა გეთაყვა,
(ოქ ვინლატ ტუბილათ ვაღიხარხარა)
ის არა ჩვენ აწ გვინდა ვაყოთათ
იმ მვეცისაგან რაკა წახმარა?*

აქ რალაცა, ვიფიქრე ვულში,
კარებს მოვშორდი გაკვირებული,
გზაში სოლომონ შემხვთა მენადედ,
გულ მვეღარი, თვალბე დასივებული!

მარა მაგისტვის ვინდას ეცალა
კლანდიასკენ მოგკურცხელი ჩქარა,
დიდხანს ვეძებე ჩოხატაური
მარა ვერ ვნახე, არა და არა.

უცებ ფერდოზე მოგკარი თვლი,
ვილაცა თხებსა ერეგებოდა!
დეღავ შეეხედე, ეს ბოქაული
მეთხე, კლავ თხებსა ასდენებოდა!

რარ ცეი-ციე, დმერტი დაწყველას
ჩაუნდ მინდოდა მე პრისთაობა,
ეს ჩქიმი ოჩი, ჩქიმი ქაკარა,
მაგასუ რათ ჯობს სხვაი ხელობა?*

აქაც ვაგვოცი, უკან დაღებუნდი,
რეუდენ მენახა კუხალაშვილი,
მარა სად არის ცეი ნაკარა
ის და ან მისი ქართველიშვილი.

ესთქვი ვესტუმრები ერთს მელქისედეკს
მიგლე, დამიხთა წარბ ჩამოყრილი,
ათხი თხოვნა, კობიო, მარკა
კისრამდინა აქეს ვარს შემოყრილი.

გაოცებული ვკითხე: აგთაყვა
გამაგებინე ერთი მართალი,
დიდხანს რომ ძებნე ნახე, თუ არა
იგი ზაკონი და სამართალი?*

ამოიხენემა: რალა ენახე ძმავ!
დაგვლუხეს კაცო, არ მოველოდი,
სულ აღმატებით აღუმეტებდენ
ჩინოვნიკებსა რომ უჩივლებდი.

ესლატ მეგონა, გურიის გიბრებს
ჯილდოს მისკემდენ, აღუმეტებდენ,
ვინ იფიქრებდა, თუ დაკოსავდენ
პანჩურ-პანჩური გადაყარავდენ!

ვლახ ჩამოგვშორდა მგლები და ტურა,
ვხა თუ აყავდეს აწი კულტურა!

ვხა თუ ვაქეთღეს გვა, ხიდევი,
თუ მოლოდინი დაგვდისტურა?*

მეც ამირუყდა ამ აშბი, გულევი,
გავფხიზლიდი სიზმრით გარემოსკული,
ცხადშიც ვიხილე ვაცოცხელები,
მათი სიკოდეით მიკვდება ვული.

შხანკოლა.

საღმისო საშობარი ოსურგებრი.

— შენ თუ ატკობ როგორ ნაღვლიანად გა-
მოიყურებინარ ერთი ჯურის ბარიშნები ზაკუსოვის
აბარგვის გამო?

— საქმე იმაშია რომ ყველა ქალაქებში ასეა:
კული ყოფ-ქვეყის ქალებს მაგათთან აქვთ კავში-
რი და ოსურგეთიც ხომ ღოდორია?

— ამბობენ ზაკუსოვის მოვლემობას მისი და-
ტრავებული ფინია ასრულებსო. თურმე ხს ყველგან
დაძვრება, ყველას ვლაქუცება, უზომოთ განვითა-
რებული ჰქონებია ყნოსვა საქმლისადმი. ასე წარ-
მოიღვინე ცნობებსაც კი აწვიდს ზაკუსოვსო.

— ეს ასეც უნდა იყეს. განა ცოტა ამაგი
აქვს ზაკუსოს მათ? ფეხის ტკენის დროს ხომ იცი
რა მზრუნველობა გაუწია?

— ვიცი როგორ არ ვიცი. ამ უზენოა ქალბა-
ტონებსაც მის მაგივრობას გაუწევს აღბოთ.


— კაცო, ამ ქალბებზე გამახსენდა. ერთი
„ნაკალდოჩნიკარი“ მღვდელი ჩასულა მის ნამ-
სახურ ქ. ბაიუმში და გავფლიო თუ არა მის საყვა-
რელ უბანში—დახვევია ძველი ნაქნობნი ცუდი
ყოფაქვეყის ქალები და მამაო მამიოს ძახილით აწ-
ფორა კინელიშ შემოაუფხრწიათ ტანზე.

— საქო მაგას თავი დავანებოთ. შენ ერთი
ის მიხზარი, როლის მოვლება ბოლო კორესპონ-
დენტების დენვას და მუქარას? ხუმრობაა ზაკუსო-
ვისტების მხილვა? ეს უბრალო საქმე არ არის.

— მაგას ძმავ მეტი არაფელი ეშველება, სა-
ნამ კორესპონდენტი წერილს გავზავნიდეს ვაზეთში,
საკირია შეუტანოს გადასხედადათ ჩვენი ქალაქის
ბოქაულს და თუ მას მოსწონდა, კორესპონდენტი
ყოველგვარ მარცხისაგან დაზღვეული იქნება. ოღონდ
უნდა გახსოვდეთ ზაკუსოვისტებზე კული არაფერი
იყოს, თორემ სულ ერთია, ბოქაული არა გაუშვებს.

— კი მაგრამ ჩვენ გამოვიარეთ რეჟიმი კრი-
ლოვისა, აღიხანოვ-ავარსკისა და ტლომაჩოვ-ერმო-
ლოვისა, ხოლო ამისთანა დენვას პრესის წირმომად-
გენელთა ჩვენს ყურს არ სმენია!

— დამშვიდდი მეგობარო, დამშვიდდი. ყველა-
ფერს ბოლო აქვს. ამით ცელქობასაც ბოლო მოე-
დება. ყველას ნამოღაწარი სინათლზე იქნება გა-
მოტანისა და მოვლენისათ!



სარკე.

F-2044



13 იანვარს, ნაშუადღევს 2 საათზე ქოლქში უცებ ხმები გავრცელდა ნაძალადევი დიდი შეტაკება მოუხდათ პოლიციელებსა და ყაჩაღებსა და სიმართლე კი არავინ იცოდა. მართლაც ამ დროს ნაძალადევი დიდს ხანს სროლა იყო და ნამდვილი ამბის გავება მხოლოდ ნაშუადღევს 4 საათზე გახდა შესაძლებელი: საქმის ვითარება როგორც გამოირკვა აგრე ყოფილა: ტფილისის პოლიცემისტერმა ფარული ცნობები მიიღო რომ აქ ჩამოვიდნენ ცნობილი ყაჩაღები იმერლიშვილი და ფარესიშვილი და ნაძალადევი ბინადრობენ, სახელდობრ ბასენის ქუჩაზე, სახლი № 15. პოლიცემისტრის განკარგულებით ნაშუადღევს პირველ საათზე ხვინებულს ადვილას 100-მდე პოლიციელი გაემგზავრა ყაჩაღთა შესაპრობლათ. პოლიციელებმა მეცხრე საპოლიციო უბნის ბოქაულის გამბერგის შეთაურობით სახლს, სადაც ყაჩაღები იყვნენ, ვარს შემოუარეს და შემდეგ სახლის ეზოშიაც შევიდნენ. მათ ნამდვილად არ იცოდ-



ფარესიშვილი.

იმერლიშვილი.

ნენ ყაჩაღები ამ დროს მართლა სახლში იყვნენ თუ არა. უცებ სახლიდან ყაჩაღებმა საშინელი სროლა ასტყეს და სასიყვლილად დასტყეს ბოქაული გამბერგი და მისი თანაშემწე ზუბრიკი (ესენი ორთავენი გარდაიცვალა შემდეგ), დასტყეს აგრეთვე საპოლიციო უბნის ზედახედეელი აღანია, საპოლიციო უბნის სხვა სამი ზედახედეელი და 10-მდე დაბალი პოლიციელი. ამ მოულოდნელმა სროლამ პოლიციელები დაბანია, რითაც ყაჩაღებმა ისარკებლეს, გამოვარდნენ სახლიდან და გაიქცნენ. აქ პოლიციელებმა ერთი ყაჩაღთაგანი (იმერლიშვილი) ჩამდენიმი ტყვიით მოკლეს, ხოლო ნათესავებმა კერ იცნეს იმერლიშვილათ. ფარესიშვილი კი დახალვა მოასწრო.

დეჭეშები

(ია—ძის საავენტრადან).

ფოთი. ცნობილი კანტრალიორ ცხადიმქმ „სპროიაკოვის“ მუშებისაგან მიიღო საჩუქრათ „დამპალი კატის თავი“ (ასეთი ზედ წაუწერი):

დაგვერწმუნე ათასჯერ სჯობს
თქვენსა თავისა მავი თავი!
თუმც მყარალია, საძაგელი,
მავრამ ესმის თეთრი-შავი.

ძველი თავი მოიშორე,
ეს ნამდენვე გაციკრე,
კაცო მაშინ შეიქნები,
„მეგობრულებრ“ დავეჯერე.

აბაშა. ცნობილი ი. მასხულია წაიკითხავს ლექციას თუ რა ზიანი მოაქვს ღენის სიმთვარლეს, მავალითებრ ქ. ხინკილიზაქია და ახ. ფშუკრზაქია, რომელიც პრაქტიკულათ აქვს შეძენილი. ბილეთების ყიდვა შეიძლება ბესა ტყებუჩავას სამიკიტროში.

რედაქცია სთხოვს ვისაც მოეპოვება გურიამში ხლად მოკლულ სანდრო ბარამიძის და მის ამხანაგ ვაკაძის სურათი გამოგზავნონ.

გურია-სამეგრელო. ვასო მას., ვასო სარ.,
 ვასო ქან., ვასო ქება., ვასო ტულ., ვასო ურშ.,
 ვასო ჭყ., ვასო თედ.—ადგილობრივ გუბერნატორს
 თხოვნას აძლევენ. რომ კანტრლიორ ვასო ცხადა-
 დაძვინ სახელი ვასო შეუცვალოს პეტრეთ, ვინაიდან
 ის ერთი ვასო, ჩირქს სცხებს ყველა ვასოს თავისი
 ზნე-ქცევით. იმედიც აქვენ მათი თხოვნა უყურად-
 ღებმო არ დაჩნება.

ლიანჩუთი. ამ დღეებში სამკითხველოს გამ-
 გეებმა მიიღეს ასეთი ბარათი:

სამკითხველო დავგიცევით,
 ნუ ავგირევს ლუბა, მარო;
 თორემ ერთ დღეს მოთმინება
 მგონი განზედ გადაყარო.
 ორნიც ერთად მოვიტაცო
 სამეგრელოს გავაბარო.

სამტრედია. აქაური კლუბის საქმე
 არ გეგონათ სასურველოდ,
 არეული დარეული,
 სამარცხვინო საძულველოთ.

წარმოდგენებს ხშირად მართვენ,
 რეჟისორად ჯაყელია,
 მაყურებელნი დავგიფრთხო
 ერთბაშად გამოგვეკრა ყელია.
 აბა იმას ნუ იკითხავ,
 თუ წეს-რიგი როგორ არის!
 მუდროვებს ვინ დაცავს
 „თავზედები“ საცა არის!

სად ვინ სხდება, ვინ რას შვრება,
 ღმერთმა იცის, სხვამ კი არა;
 ბილეთს კაცი არ უყურებს—
 ფას-დიღია თუ პატარა!
 დანარჩენი შემდეგისთვის,
 დღეს-დღეობით ესეც კმარა.

ცრემლსა ვაფრძევე!!!..

სული კვნესის... სული გმინავს...
 ფიქრებს ვებრძვი... ფიქრებს მწარეს;
 ტურფა მამულს მოწყვეტილი—
 ნაღვლით შეესტკერ უცხო მხარეს!

მოკუსყვი მშობელს... მოკუსყვი სატრფოს,
 ეშხით მთვარას და პირ-მცინარეს,—
 და აქ... უცხო ხეივანში...
 ცრემლსა ვაფრძევე... ცრემლს მღულარეს...

მ. ჭ — ლი.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(კითხულისათვის) **ქალბატონი**

გაგზირყელი, მითხრეს: **ქალბატონი**
 კაცთათვის დანასახია,
 უცოლო კაცი ამ ქვეყნათ
 ცოცხლათვე დასამარხია“;
 და გადაესყვიტე მეთხოვა,
 (რაც მომივიდა ახია),
 მან მილაღატა სხვას გაჰყვა
 საქმე ქნა დასამარხია...

პირველით გაჰყვა აღუქმის
 მე ვყავდი როგორც ლაქია,
 მაგრამ ქესატი აღმოჩნდა
 ევ სპარსელების შახია.

ვიფიქრე: ქალი გაუშვა?
 არა ვარ მაგის ღირსია,
 არა და—ცოლათ ჩემია,
 გასართობათ კი სხვისია!
 შემოსავალი რომ ჰქონდეს
 რა უყვოთ, ნება მისია,
 მე პირუტყვეული „რქოსნობა“
 შემზრდია, შემითვისია.

მოგნახე ისევ ვაჰარი,
 მდიდარი შეტის შეტია
 და შეუჩინე მაცოლუათ
 ჩემი ოლინკა ცეტია.

ხუთსა წელიწადს ამ ვაჰრის
 გახდა ის ჩასაკვენტია,
 თითქმის ავსენი სირცხვილი
 და ვსთქვი ეს შეტის-შეტია.

ამბობენ: ანდერძის ძლით
 ბლომათა ელის ქანქარი,
 თუ გაბრიელის ჩაკილმა
 არ აურიათ დავთარი...

ხან აღუქმის ყავს; ხან კოწოს,
 ბედნიერია ოლია,
 ქმარსაც კი ციხე არგუნეს!
 იგიც სხვებს გადაჰყოლია!

არ გაგვივირდეთ მკითხველო—
 რამდენი კურო ჰყოლია,
 ვინც გამოიცნობს, უსურვოთ
 მას ამისთანა ცოლია.

ჭინჭრაქა.



ღაბა-სოფლები

ბაქო-ბალახანა. (გამოცხანა).

ქართელობამ კარგა უწყის
ვინ იყო და რას შერებოდა;
სასტუმროდან სასტუმროში
დადიოდა დაძვებოდა.

ათ შაურად ლამაზ გოგოს
მოგიყვანდა „დაგატკობდა“,
„ნახევარი ჩემიაო“!

ქალსაც ქანკრებს დააძრობდა.
რამდენიმე წელიწადი
გაატარა ამ ხელობით;
ფულიც კარგა შეაგროვა
კულის ქნევით და მელობით.

და შემდეგ კი ბალახანას
თაშურა—თხარა ქები,
თუმცა ბევრმა უთხრა: „აქა
რა გინდა, რას იქლაკები“.

შაგრამ გული არ ვატეხა,
ჟუან არ დაუხვებია,
სთქვა: „შრომით არ მომიგია,
ოფლი არ დამინთხვებია.

თუ წავაგე, ჩემს ხელობას
ძველებურათ მივჭკობ ხელსო
და თუ არა—გავმდიდრდები,
„შევიმატებ—ფულს, სახელსო“.

მგელი არ შეუშინდებია
ერთი-ორი ძაღლის ყეფას—
ქებში წვეთი ამოდულდა,
მიპყო ხელი მიწის ყვლეფას.

მიწის გული გამოჟურა
და მუშებსაც ოფლი ჰპარა,
სად სიკუდე გამოაჩნდა,
იქ ფულები წააფარა!

ერთ წლის შემდეგ შეიძინა
ვებერთელა კაპიტალი;
ბედმა ჩინიც მიუმატა
გახდა ჯორის „კაპიტანი“!

მის სოფელში ხმა გაეარდა
ისე, როგორც ხარბახანი
და სთქვენ: „ფული იმდენი აქვს
ვერ დაანძრევს ალახანი!“
მოისურვა, რომ ენახა
სოფელი და ის მამული;
სადაც ყავად მაქებარი
ლაქები და რახმული!

რა ჩავიდა—შეეგებენ
და სთქვენ: „კარგი კაციაო,

რა პანამა ახერია,

რა კასტუმი აცვიაო!“

ზოგი შვილსა აბარებდა,
ზოგი ძმის და ზოგი დასა,
ყველას ადგის პირღებრდა—
გამოუდგა ბაქოს გზასა.

და ახლა დღე არ გაივლის
არ მიადგეს ერთი ორი;
მათ სალამსაც არ კადრულობს
წიხლებს იქნევს, როგორც ჯორი.

მოყვანილი ემაწვილია—
გაგოქედავს ყურს ტრახახით
და ძმაო, მათრახოსანო!
თუ დაზილავ მას მათრახით,

ჯერ „ირში“ დავატყებ,
მერმე—ლამაზ „კაზინოში“,
შამანურით გაქეიფებ*)
ყველგან ჩემს საკონსულოში!!

ვაშა-ბაქურა.

ფოთი. (ღ-ს სიმღერა).

ცა ქუდათ მომცა განგებამ
მიწა ქალამათ მაქცია,
მულამ მეგულისით, განცხრომით
გავიგედი როგორც დათვია...

იკურთხოს ქანკრის მომგონი,
წამომეზარდა ფოშვია,
არ-რა მაწუხებს, ვიცინი
ვეურღულდო, როგორც შაშვია...

სხვის გატყავების შნოი მაქცეს
წვენს ვადენ ხარის რქაშია...
ოლონდ მე ვიყო მადარი
სხვა თუნდ დაიხრჩოს წყალშია...

სიმართლე ფეხზე მკილია
ტყავს ვაძრობ ყველა მართალსა,
მუშებისგანაც მოველი
მარცხენა ჯიბის საგაღასა...

ხმელეთის მეფედ თავსა ვგრძნობ
დავიმორჩილე ყოველი,
ალარ მაშინებს სალი კლდე
არც მათი ცეცხლის მთოველი.

მას ვლოკავ, ვლაქუცები
სადაც თბილ ლუქმას მოველი,
აბა მითხარით ვინა ვარ
და ან რომელი ცხოველი.

ხელიკი.

*) ქეიფობა მე არ მიყვანს,
(კი არ ვვევარ ზოგ-ზოგ მუშებს!)
გვერდებს ისე დაუზილავ—
ეშმაკი ვერ მოუშუშებს.

მათრახოსანი.

სუფსა. გზხოვთ დლიდგან „მათრახში“ აც-
ფერი დაბეჭდოთ. მიზეზი ის არის რომ ჩვენი 2 - 3
მოამბეგენი რანდებმა დაფორთხეს და აწი კონტაქტ
ველარ დასრავენ. დაერით 10—15, ჩვენი ხომ
ის დღე მოგველის თუ რამე ვსთქვი? რომ დ ში-
ნებული არ ეყუთ გეტყოდით თუ რაფერ მახდა
ა—ს ღუქანში ორმოკის წირვა და პანაშვიდი, თუ
რა ზიანი მიაყენა აქაურმა ყავახანამ ბ. ნ. გეგე-
კორს, თუ რამდენჯერ შეგვიხურეს ვითომ კოჭეს-
პონდენტები თანამეგობრე ტიპებმა, იმასაც ვიტ-
ყოლი, რომ აქაური ბავშვების დროებითი „რებეტე-
ტორი“ 24 საათში თურმე 6 „ყანწის“ მეტ ღვი-
ნოს ვერ ღებულობს. თუმცა დაუჯერებელია მაგ-
რამ თვით მე მოვკარი ყური ერთ კოპწია ბარჟნას
რომ ეტუნებოდა: გუშინ ღამით მხოლოდ სამი „ყან-
წი“ დავლიე, დღით კიღევ მ-ო.

— ადგილობრივ უკაცრავათ მთელი გურიის
მეკომავეთა ჯგუფს აზრით ჰქონით გამოაქვეყნოს
ახლო მომავალში ახალი კალენდარი. ამ კალენდარ-
ში ახალი წელიწადი თურმე დაიწყება მრავალთა-
თვის წამებულ ზაკუსოვის გადაყენების დღიდან.
თუ მმა ხარ ჩემო ნაცნობო ეს ამბავი ჯერ-ჯერო-
ბით არავის ჩააწვეთო ყურში.

იორდანე.

ს. აცანა. ჩვენი „სულდა“
კაცად ცუდია,
სულ მულამ თრება
და იგინება...
გითხრა მართალი:
მან სიმართალი
სულაც არ იცის;
მხოლოდ სმა იცის.
მეკვებ ენაში,
კაცის წყენაში
მის ვერ მოუგებ
ვერას გოლუგებ.
როცა მთვარალი,
ჩვენი ვალოა,
რომ მოვერიდოთ
არ გაღვიკიდოთ,
თორემ თუ გნახა
თუ დაგინახა
დაგარტყამს თავში,
შემოგკრავს ყბაში.
ვეტყვით ეწერსა:
ასეთსა შტერსა,
რომ ირჩევს „სულდა“
იქვეა ცუდათ.

ისკანდერ.

იუმორისტული ჟურნალი

„მათრახში“

გამოვა ყოველ კვირა დღეს, თუ რაიმე გარემოება არ შეგვიშლის ხელს.

ჟურნალზე წერილი ხელის მოწერა არ მიიღება, ხოლო ვინც გამოგზავნის 1 მანათს მას გაეგზავნება 20 კომერი ჟურნალისა ახალ წლიდან.

საჭიროთა ჩვენმა კორესპონდენტებმა მოგვაწოდონ, როგორც სადღეისო შესახებები, ბერეთეუ — საბათრახო და სასოკადო მოღვაწეთა სურათები, კარიკატურებისთვის.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები და რეკლამები ფერადის კრასკებით. ფასები რედაქციასთან მორიგებით.

წერილები და ფული გამოგზავნება ამ ჯდრესით: Тип-ლისь, Типография „Шрома“ Т. Болквადзе „მათრახისათვის“.

იეკოვანეთ პანიროსები


ა. მსოფიანჯიანსისა

„ექსტრა“ 15 ც.—6 კ., 25 ც. 10 კ. „ინტელი-გენტნი“ 10 ც. 6 კ. 15 ც. 15 კ. „ალფი“ 20 ცალი 5 კ. „ქეკ-უოკ“ 20 ც. 5 კ. და სხვ.

იყიდება გასული წლების იუმორისტული ჟურნალები:

- 1) ეშმაკის მათრახი — 1908 წ. 34 ნომ. 2 მ. 50 კ.
 - 2) მათრახ-სალამური 1909 „ „ „ 2—50 „
 - 3) აღმანახები 1909 წ. 10 ნომერი — —50 „
 - 4) მათრახ-სალამური 1910 წ. 33 ნომ. 2—50 „
- ვისაც უნდა სურს, თითო წიგნს მიემატება ფასი თითო მანეთი. მსურველებს პროვინციებშიაც გაეგზავნებათ ჩვენის ხარჯით.

მისამართი: Типография Шрома Теофила Болквადзе.



გამოცანას მოგახსენებთ—
 ყველამ იცით ერთი მღვდელი;
 უნამუსო, გაჭუცული,
 ტრაბახი და ენა გრძელი...
 მოკარტნარდე, მოქეიფე,
 მტრობა-შურის დამთესველი,
 დავით წმინდას მარჯვენა,
 მასთან ერთად ავის მქნელი.

არის მადე, ინტრიგანა,
 უაზრო და ჭკუით ბნელი;
 ყურ წანაკრავ ამბებისა
 „დიდ ხოჯასთან“ მიმტანელი,
 პატიოსან ქალღმისწავლი,
 უსამართლოთ გამოანძღველი,
 მისი მადლი შეგეწიოს,
 ვინც ხარ ამის გამოშხნელი.

შემოქმედელი ტურა



„ქართველი მოღვაწეები“ დაბა სამტრედიაში.

ტაში, ტაში, ჩქარი ტაში,
 ლაღო, გიგო გენაცვალეთ,
 ისილორე და მუმლაძე
 რას უყურებთ იკვანტალეთ!

გავიმარჯვეთ ეს-ეს არის,
 წინ ვერაინ დაგვიდგება,
 ხომ კი ხედავთ რაედენაი
 თავის ტანში ველარ ღგება!

უხილავი.